21
603/2 № 7297
603/21
6
ეროვნული ბიბლიოთეკა

2
აპრილი
შაბათი,
1963 წ.
№ 65 (2170)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

„იუმანიტეს“ პრიზზე

პარიზში გაიმართა საერთაშორისო მძლეოსნური კროსი გაზეთ „იუმანიტეს“ პრიზზე. შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ბელგიის, უნგრეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და სხვათა საუკეთესო სპორტსმენები. ამ ტრადიციული კროსის წინასწარ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 22 ათასმა კაცმა, ხოლო ფინალში თავი მოიყარეს უძლიერესებმა.

ქალთა 2 კმ დისტანციაზე, როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში გამარჯვებულები გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა თ. ბაბინცევა. ვაჟთა 8 კმ კროსში ბრძოლა გამარჯვებისათვის მიმდინარეობდა ზ. კშიშკოვიაკს, ს. ოჟუგას, კ. ზიმნის (ყველა პოლონეთიდან), ი. იურევს, ი. ტომაშს (ჩეხოსლოვაკია), ლ. ივანოვს, პ. ბოლოტნიკოვსა და სხვათა შორის. გაიმარჯვა კ. ზიმნიმ. პ. ბოლოტნიკოვი და ლ. ივანოვი გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილებზე. გუნდურ ჩათვლაში პირველები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც შეინარჩუნეს საპატიო ჯილდო.

ვერცხლის თასი — სტუდენტებს

ხუთი წლის წინ ლენინგრადში სტუმრადმყოფმა ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა ადგილობრივ მძლეოსნებს გადასცა ვერცხლის თასი, რომელიც ყოველი წლის გაზაფხულზე თამაშდება ფიზკულტურის კოლექტივებს შორის. წელს მისი მფლობელები გახდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნები. პირადში ნაჩვენები იქნა რამდენიმე კარგი შედეგი. ქალთა შორის ბირთვის კვრაში თ. პრესის — 17 მ 18 სმ და 100 მ თარჯრბენში ლ. ვასილიევას მაჩვენებლის — 14,0 (ორივე უმაღლესი მიღწევაა) გარდა, მაღალი იყო შედეგები ქალთა სიგრძეზე ხტომაში, სადაც მსოფლიო რეკორდსმენმა ტ. შჩელკანოვამ აჩვენა 6 მ 12 სმ. 100 მ დისტანციაზე მანვე აჩვენა 11,9. მაგრამ მკერდით წააგო გ. პოპოვასთან.

ვაჟთა 110 მ თარჯრბენში ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ა. მიხაილოვმა დისტანცია გაირბინა 14,1-ში, ხოლო 3000 მ-ზე უძლიერესმა ი. ზახაროვმა აჩვენა 8.19,2. სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ბ. ინიახინმა — 205 მ, დ. ბონდარენკომ სიგრძეზე ხტომით დაძლია 7.27 მ, ხოლო ბ. გიორგიევმა ბირთვი ჰკრა 17 მ 17 სმ-ზე.

რეკორდების დამტკიცება

ლონდონში გაიმართა მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის მორიგი სხდომა, რომელმაც მსოფლიო რეკორდებად დაამტკიცა მთელი რიგი მაღალი მაჩვენებლები. მათ შორის არიან საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებული შედეგებიც. ამ სესიაზე ერთდროულად ვ. ბრუმელის სამი შედეგი იქნა დამტკიცებული. მსოფლიო რეკორდათ — 225 სმ, რომელიც ნაჩვენები იქნა 1961 წელს სოფიაში. 226 სმ (პალო-ალტო — 1962 წელი) და 227 სმ (მოსკოვი, 1962 წ.). მსოფლიო რეკორდად დამტკიცდა აგრეთვე ი. ტერ-ოვანესიანის მიერ ერევანში ნაჩვენები შედეგი სიგრძეზე ხტომაში — 8 მ 31 სმ.

ორი რეკორდი ეკუთვნის თ. პრესს. მან ლაიპციგში ბირთვი ჰკრა 18 მ 55 სმ-ზე, ხოლო შემდეგ ეს მაჩვენებელი გაიმეორა ბელგრადის ევროპის ჩემპიონატზე. მსოფლიო რეკორდად იქნა დამტკიცებული მისი მაჩვენებელი ბადროს ტყორცნაშიც — 58 მ 06 სმ, რომელიც დამყარებული იქნა სოფიაში უნივერსიადაზე და ბოლოს, ტ. შჩელკანოვას მიერ სიგრძეზე ხტომაში ნაჩვენები საუკეთესო შედეგი — 6 მ 53 სმ.

მ. ბოტვინიკი - ტ. პეტროსიანი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 30 მარტს ესტრადის თეატრში, რომლის შესავალს ვეება წარწერა — „ბოტვინიკი-პეტროსიანი“ ამშვენებს, დიდძალი მაყურებლის დასწრებით გაიმართა მატჩის IV პარტია.

მსოფლიო ჩემპიონმა თამაში ინგლისური დაცვით დაიწყო, რომლის საუკეთესო მცოდნეთაა იგი აღიარებული. მაგრამ პარტიამ მალე კარო-კანის დაცვის სქემებისათვის დამახასიათებელი სახე მიიღო. ცენტრში გაიხსნა ხაზები და თეთრებმა უფრო სწრაფად განავითარეს ფიგურები. მე-9 სვლით ბოტვინიკმა აიძულა პრეტენდენტი ჩაეკეტა გზა თავისი თეთრუჯრედოვანი კუსათვის. ამით ბოტვინიკმა ხელი შეუშალა შავების როქს. პეტროსიანი ცდილობდა კუს გაცვლით თავის მეფისათვის მოენახა თავშესაფარი. ერთხანს ბოტვინიკი ეწინააღმდეგებოდა ამას. ამიტომ სვლები გამეორდა. მსოფლიო ჩემპიონს არ სურდა ყაიმი და იგი განაგრძობდა ბრძოლას. მაგრამ პეტროსიანმა მოასწრო ძალების მობილიზება, საიმედოდ გახიზნა მეფე და ბოტვინიკს ხელი აალებინა იერიშის მომზადებაზე. მრავალი ფიგურის გაცვლით მან გაათანაბრა თამაში და თვითონ შესთავაზა პეტროსიანს ყაიმი.

მ. ბოტვინიკი-ტ. პეტროსიანი
მეოთხე პარტია

1. c4 c5 2. მc3 მc6 3. მf3 g6 4. e3 მf6 5. d4 cd 6. ed d5 7. cd მ:d5 8. ლb3 მ:c3 9. კc4 e6 10. bc კg7 11. კa3 კf8 12. კc1 კg7 13. კb5 კd7 14. კa3 კf8 15. კ:f8 მფ:f8 16. 0—0 მფg7 17. კe2 b6 18. c4 ლf6 19. ლe3 ეhe8 20. მe5 ეad8 21. ეad1 ლe7 22. c5 მ:e5 23. ლ:e5+ ლf6 24. cb ab ყაიმი.

გუშინ შედგა მატჩის მეხუთე პარტია. თეთრებით თამაშობდა პეტროსიანი. ამ შეხვედრაში გათამაშდა გრიუნფელდის დაცვა. შუა თამაშამდე დაფაზე მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, მაგრამ შემდეგ პეტროსიანმა შეძლო ცენტრში პაიკის მოგება, რომელიც რამდენიმე სვლის შემდეგ უკანვე დაუბრუნა, რის საკომპენსაციოდ მიიღო უკეთესი პოზიცია.

დროის ამოწურვამდე პრეტენდენტმა შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა ტ. პეტროსიანმა.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან) ტ. პეტროსიანი, მ. ეივე და მ. ბოტვინიკი საუბრობენ მატჩის საზეიმო გახსნის შემდეგ.

ფოტო ბ. ტუროვისა.

პირველი მატჩები

31 მარტს დაიწყო სსრ კავშირის საიუბილეო, XXV პირველობა ფეხბურთში. ჩვენი ქვეყნის სამხრეთის 10 ქალაქში გაიმართა ჩემპიონატის პირველი მატჩები, გათამაშების ცხრილში ჩაიწერა პირველი შედეგები, „ა“ კლასის გუნდები შეუდგნენ დაძაბული ბრძოლით აღსავსე გრძელ და რთულ გზას.

პირველი ტურის ათი მატჩიდან ორი შედგა ე. წ. „ნეიტრალურ“ მინდვრებზე, ვინაიდან ხარკოვის „ავანგარდსა“ და მინსკის „დინამოს“ თავიანთ ქალაქებში არ შეეძლოთ მიეღოთ მოწინააღმდეგეები. იქ ჯერ ძალზე ცივა.

ხარკოველები ქ. ხერსონში შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის „სპარტაკს“. მოსკოველებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს „ავანგარდი“ ანგარიშით 4:1. ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული კრასნოდარში, სადაც თამაშობდნენ კიევისა და მინსკის დინამოელები. გაიმარჯვეს კიეველებმა.

ორი მატჩი დამთავრდა ისე, რომ არც ერთის კარში არ გატანილა ბურთი. უშედეგოდ — 0:0 ითამაშეს კიშინიოვის „მოლდოვამ“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და როსტოვის არმიელებმა მოსკოვის „დინამოსთან“. სამ შეხვედრაში გუნდებმა გამარჯვებას მიაღწიეს ერთადერთი გატანილი ბურთის წყალობით. ამ მინიმალური ანგარიშით — 1:0 მოუგეს მოსკოვის არმიელებმა ბაქოს „ნეფტიანიკს“, დონეცკის „შახტიორმა“ — ტაშკენტის „პახტაკორსა“ და მოსკოვის „ტორპედომ“ — ერევნის „არარატს“. აღსანიშნავია, რომ სამივე მატჩში გამარჯვება წილად ხვდათ არა მასპინძლებს, არამედ სტუმრებს.

პირველ წარმატებას მიაღწია ალმა-ატის „კაირატმა“, რომელმაც საკუთარ მინდორზე მოუგო ლენინგრადის „დინამოს“ — 2:0.



გ ანვლილ კვირას თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის 1963 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. პირველი მატჩის მონაწილეებს — თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ჯინჭარაძემ. საიუბილეო, XXV ჩემპიონატის ალამი აღმართეს გუნდების კაპიტნებმა, სპორტის ოსტატებმა შ. იამანიძემ და ვ. ბურჩალკინმა.

მოსკოველმა მსაჯმა ს. ალიმოვმა გუნდები გამოიძახა მინდორზე. დინამოელები და ზენიტელები განლაგდნენ თამაშის დასაწყებად, მაგრამ პირველი დარტყმა ბურთზე შეასრულა არა ფეხბურთელმა, არამედ... მოჭადრაკემ. ეს საპატიო უფლება მიენიჭა გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეს, მსოფლიო ჩემპიონს ქალთა შორის ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილს. პირველი დარტყმა ბურთზე სწორედ მის მიერ იქნა შესრულებული.

ამავე საზეიმო ცერემონიალზე თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელს ზაურ კალოევს გადაეცა საპატიო ჯილდო — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშანი. ზ. კალოევს ეს ჯილდო გადასცა ქართული ფეხბურთის გამოჩენილმა დიდოსტატმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ.

სურათზე: ბ. პაიჭაძე ზ. კალოევს გადასცემს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშანს.

4 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში (ჭავჭავაძის პრ. № 49) შედგება საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს

XIII პლენუმი

დასაწყისი 12 საათზე.

დინამოელთა კროსი

აჭარის დინამოელებმა კარგა ხანია დაიწყეს მზადება გაზეთ „პრავდის“ პრიზზე შეჯიბრებისათვის. ჩატარდა წინასწარი შერჩევითი შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში და ჯგუფებში, ხოლო შემდეგ გაიმართა „დინამოს“ აჭარის საბჭოს პირად-გუნდური პირველობა 3000, 5000 და 8000 მეტრზე.

3000 მეტრზე საინტერესო ბრძოლა გაიმართა პირველი და მეორე გაერთიანებული კოლექტივების კროსმენებს შორის. გამარჯვება მეორე კოლექტივის მძლეოსნებს უ. ლექენკინსა და ბ. ლინეცს დარჩათ, რომლებმაც შესაბამისად აჩვენეს პირველი თანრიგის შედეგები — 9.21,25 და 9.23,0.

5000 მეტრზე სტარტი აიღო 18-მა კროსმენმა, მათგან მხოლოდ 15-მა დაამთავრა დისტანცია. აქ ბრძოლა უმთავრესად მეორე გაერთიანებულ და მეორე ფიზკულტურულ ჯგუფის მძლეოსნებს შორის მიმდინარეობდა. გაიმარჯვეს პირველებმა. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ი. ლევჩენკო — 16.09,4.

ი. პუპარევიჩი თავიდანვე დაწინაურდა 8000 მეტრზე კროსში. ორი წრის შემდეგ მან 50 მეტრით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქეები ნ. ბონდარევი და ი. ხორუჟი. შემდეგში მან კიდევ უფრო მოუმატა ტემპს და პირველმა დაამთავრა დისტანცია 27.31,4.

პ. მორჩილაძე



სურათზე: ა. აბრამოვის ნახევარფინალური ბრძოლის მომენტი ლატვიელ ი. ლანცერსთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ტურნირის საუკეთესო ბრძოლა

ასეთი ლამაზი, ტექნიკური და აზრიანი ბრძოლა მრავალი წელია, რაც არ გვინახავს თბილისში. ა. ზასუხინმა (რსფსრ) და ს. სტეპაშკინმა (მოსკოვი) გასულ კვირას თანამედროვე კრივის ბრწყინვალე გაკვეთილი ჩაგვიტარეს. სპეციალისტების, მწვრთნელებისა და თვით მოკრივეების აღიარებით, ქვემსუბუქი წონის მოკრივეთა ფინალური შეხვედრა უკანასკნელი 10 წლის საუკეთესო ბრძოლა იყო.

საბჭოთა კრივის ამ ორმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა ნათლად დაგვანახა, თუ რა გზით უნდა ვითარდებოდეს მოკრივის ოსტატობა. ამ ბრძოლაში იყო ყველაფერი, როგორც სახელმძღვანელოში. ძლიერი და გამოზომილი დარტყმები, ახლო ბრძოლა და დისტანციური მანევრირება, ეფექტური დაცვა და მწვავე კონტრშეტევები. მაყურებლისათვის ძნელი გამოსაცნობი იყო გამარჯვებული, იმდენად თანაბარი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეთა ძალები. და მაინც ს. სტეპაშკინს მეტი მონდომება და მიზანსწრაფვა ემჩნეოდა. სწორედ ამის წყალობით დაამსხვრია მან ა. ზასუხინის დახვეწილი ტექნიკა და ბრძოლის სასწორი თავის სასარგებლოდ გადახარა.

სამწუხაროდ, ტურნირში ეს ბრძოლა გამონაკლისს წარმოადგენდა. დანარჩენი შეხვედრები, მათ შორის ფინალურებიც კი, მეტწილად უინტერესო იყო სანახაობრივად და ღარიბი შინაარსით. აი თუნდაც უმძიმესი წონის სპორტსმენთა გამოსვლა. ვ. ტრეტიაკი (ლატვია) გამოცდილი ოსტატია. მას მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში და ტურნირში აქვს მიღებული მონაწილეობა. ვ. ტრეტიაკის მეტოქე ფინალში ლიტველი პირველთანრიგოსანი მურაშკო იყო. სამი რაუნდის განმავლობაში მოკრივეები მოსაწყენად უვლიდნენ გარს ერთმანეთს და ვერაფრით ვერ მოახერხეს რაიმე ტაქტიკური გეგმის განხორციელება. არ იგრძნობოდა განსხვავება გამოცდილ ოსტატსა და პირველთანრიგოსანს შორის. ვ. ტრეტიაკმა მოიპოვა გამარჯვება მინიმალური უპირატესობით.

ასევე უმნიშვნელო უპირატესობით მიენიჭა გამარჯვება ფინალში ვ. ჩერნოვს ი. მინაევზე (მძიმე წონა). მაყურებელი ინტერესით მოელოდა ბ. ნიკანოროვისა და ს. ლომაკინის ორთაბრძოლას. მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ორივე სპორტსმენი მოხსნა რინგიდან წარბის დაზიანების გამო. პირველობა ამ წონაში არ გათამაშებულა. არ შედგა ბრძოლა პირველ ქვესაშუალო წონაშიც, ა. ფროლოვის (მოსკოვი) ავადმყოფობის გამო გამარჯვება მიეკუთვნა ლენინგრადელ ი. პოლიაკოვს.

ი. პესტუნმა (რსფსრ) ძნელ ბრძოლაში დაამარცხა ლატვიელი ვ. ტრეპშა. ბ. სოლოვეიმ (რსფსრ) წააგო შეხვედრა ს. სტრუმსკისთან (ლატვია). ვ. პოპენჩენკომ (ლენინგრადი) დაამარცხა ა. კისელიოვი (მოსკოვი). აგრესიულად ჩაატარა ბრძოლა მოსკოვის ორგზის ჩემპიონმა ოსტატმა ვ. ნოვიჩკოვმა უკრაინელ გ. ივანოვთან და მოიპოვა ევროპის პირველობაში მონაწილეობის უფლება.

მძიმე წონაში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ა. აბრამოვი და ი. იზოსიმოვი. სამწუხაროდ, არც ეს ბრძოლა შედგა პირველის ავადმყოფობის გამო.

ორი ლიდერი

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საინტერესოდ მიმდინარეობს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XX პირველობა, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობს.

ბრძოლა ტურნირის სტარტზე საგრძნობლად დაიმუხტა. ამის მიზეზი იყო გ. ბუცხრიკიძე, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ლ. ხაჭაპურიძე და გორელი ნ. ფანქველაშვილი. მართალია, განვლილ სამ ტურში ს. ივანოვამაც მოიგო სამი პარტია, მაგრამ მისი მეტოქენი ნაკლებად გამოცდილი მოჭადრაკეები იყვნენ. პარტიაში ოსტატთან ბუცხრიკიძემ თამაშის მომხიბლავი შემართება გამოამჟღავნა. მხოლოდ თამაშის მეხუთე საათზე გაირკვა მისი უპირატესობა.

კარგად აიღეს სტარტი თბილისის ჩემპიონმა ც. კახაბრიშვილმა და ქ. გოგიავამ (2,5 ქულა თვითეულს). სამაგიეროდ, უფერულად თამაშობს ა. ჩაიკოვსკაია, მას მხოლოდ 1,5 ქულა აქვს. პარტიაში ნ. ალექსანდრიასთან, რომელიც მოიგო, მას მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. მხოლოდ ნორჩი მოჭადრაკის გამოუცდელობით აიხსნება ამ პარტიის შედეგი.

ჯერჯერობით სუსტად გამოიყურება რაიონების წარმომადგენელთა თამაში. მათ 12 პარტიაში მხოლოდ სამი პარტია დაამთავრეს ყაიმით, დანარჩენები კი წააგეს.

ა. დავლიანიძე

ნაკრების ხვალინდელი დღე



სურათზე: საბჭოთა კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი. მარცხნიდან — ვ. პოპოვი, დ. ლუკინა, დ. ბროდსკი, ა. ამელინი, ლ. ბალაიშიტე, უფროსი მწვრთნელი ვ. ივანოვი, ზ. რუდნოვა, ს. პაისიარვი და ს. გრინბერგი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა და ვ. მასტიუკოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

5 აპრილს პრაღაში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი დაესწრო საბჭოთა კავშირის ნაკრების საწვრთნელ მეცადინეობას და მოამზადა რეპორტაჟი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.

შავ მაგიდებზე თეთრად ელავენ ბურთები. ეს ხდება მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ერთ-ერთ დარბაზში, დიდი სპორტული არენის ტრიბუნების ქვეშ. თამაშობდნენ მაგიდის ჩოგბურთელები. მწვრთნელი ვ. ივანოვი, პროფესიით მხატვარი, გატაცებით მუშაობს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ასე ახალგაზრდული არასდროს ყოფილა. მათ ლიდერს — ა. ამელინს ჯერ 17 წელიც კი არ შესრულებია, ხოლო ნაკრების ერთად-ერთი ვეტერანი, 35 წლის ქირურგი ვილნიუსიდან ა. საუნორისი ამელინს ასაკით მამად ეკუთვნის.

ჩვენ, უნდა ვაღიაროთ, დავარღვიეთ წვრთნის ჩვეული რიტმი. ქალიშვილებმა, თვალი მოავლეს, თუ არა ფოტოაპარატს, გადასდეს რაკეტები და სარკე-სავარცხლებით „შეიარაღდნენ“. სანამ ისინი კეკლუცობენ, ჩვენ გუნდის მამაკაცთა „ნახევარს“ გავეცნოთ.

ა. ამელინი მოსკოვის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა. ამ ჭაბუკს მწვრთნელი „მებრძოლსა და ახალი ფორმაციის მოთამაშეს“ უწოდებს. მისი დევიზია — შეტევა და ორმხრივი თავდასხმა. მეტოქეები მის „დატრიალებულ“ ბურთებს ძალზე ძნელად იღებენ. ამელინი დამაჯერებლად ატარებს პარტიის დასკვნით ნაწილს, სწორედ იმ პერიოდში, როცა თამაში და ნერვიული დაძაბულობა კულმინაციას აღწევს ხოლმე.

ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ნოვიკოვი 18 წლისაა. მისი საყვარელი ხერხია დარტყმა მარჯვნიდან. გაჭიანურებული კონტრ-თამაშისას იგი ჩვეულებრივ პირველი ახერხებს ხოლმე გადამწყვეტი დარტყმების ჩატარებას.

19 წლის რიგელი, ზ. კალნინი მსახურობს საბჭოთა არმიაში. იგი კარგი ტაქტიკოსია, თამაშობს გარეგნული ეფექტების გარეშე, მაგრამ ძალზე დამაჯერებლად და ჯიუტად. თამაშში იგი მოხერხებულად იყენებს ე. წ. ტოპ-სპინსაც და ცრუ დარტყმებს მარჯვნიდან და მარცხნიდან.

ნაკრებში ორი ადგილი ვაკანტურია. ამ ადგილებზე პრეტენზიას აცხადებენ საუნორისი, კუიბიშეველი 17 წლის მოსწავლე ვ. პოპოვი და მისი მოსკოველი თანატოლი ლ. ბროდსკი, რომელიც მუშაობს ბეჭვეულის ფაბრიკაში შეგირდად, ხოლო საღამოს სწავლობს მუშა-ახალგაზრდობის სკოლის მერვე კლასში.

ჩემპიონატის წინა უკანასკნელ დღეებში ნაკრების წევრები შეიკრიბნენ მოსკოვში და ყოველდღიურ წვრთნას გადიან. თუ დასაწყისში წვრთნაზე ივანოვთან და ლიხტერმანთან (მეორე მწვრთნელი) ერთად მოდიოდნენ მძლეოსნობისა (ტაბეევი) და ტანვარჯიშის (ვიტოშინი) სპეციალისტები, ახლა ნაკრების წევრები მთელ დროს ჩოგბურთის მაგიდებთან ატარებენ (დღეში 5 საათს). ჩოგბურთელები ეცნობიან ტაქტიკურ სქემებს, ხვეწავენ თავდასხმით დარტყმებს და სხვ.

ქალიშვილებიც გავიცნოთ. ისინი კარგახანია დაუბრუნდნენ მაგიდებს, ფოტოაპარატი კი მათ უკვე აღარ აცბუნებს. შეტევაზეა ზ. რუდნოვა. ეს 17 წლის მოსკოველი მოსწავლე, როგორც ვაჟი ისე თამაშობს — უკომპრომისოდ. ჩოგანი მას „ფრთისებურად“ უჭირავს და ვერ იტანს თავდაცვით ტაქტიკას. რუდნოვას აქტივში გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონზე, ჩინელ ცუ ჯუნ-ხოიზე.

არც თუ ისე დიდიხნის წინათ ჩვენი ქვეყნის პირველ ჩოგნად ითვლებოდა ვილნიუსელი მოსწავლე ლაიმა ბალაიშიტე. მაგრამ ლაიმა სულ რაღაც 14 წლისაა და უკანასკნელ რამდენიმე თვეში იგი ძალზე გაიზარდა, თუმცა უჩვეულო მდგომარეობაში ჩავარდა: მაგიდა მისთვის ძალზე დაბალი გახდა. გოგონამ ამის გამო უფრო ფრთხილი თამაში დაიწყო, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა შეტევაში სიმწვავე და, რაც მთავარია, თანამედროვე თამაშის აგრესიული სტილი. ლაიმას, ივანოვისა და ლიხტერმანის გარდა ჰყავს თავისი „პირადი“ მწვრთნელიც — მისი დედა ბრონისლავა ბალაიშიტე — საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი.

ნაკრების ყველაზე გამოცდილი ჩოგბურთელია ტალინელი 23 წლის ქალიშვილი ს. პაისარვი — საბჭოთა სპორტსმენ ქალებს შორის დაცვის საუკეთესო მოთამაშე. პრაღაში გაემგზავრება აგრეთვე რიგელი 19 წლის დ. ლუკინა. მაგიდის ჩოგბურთში, ისევე როგორც კრივში, ძალზე ძნელია ცაციასთან ბრძოლა, ლუკინას კი ჩოგანი სწორედ მარცხენა ხელში უჭირავს.

გუნდის სათადარიგო მოთამაშეა კიეველი 19 წლის სტუდენტი ს. გრინბერგი.

წვრთნა დამთავრდა. სპორტსმენები გასახდელისაკენ გაემართნენ, ჩვენ კი ვ. ივანოვს ვთხოვეთ ეამბნა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ჩოგბურთელების შანსებისა და მათი მეტოქეების შესახებ.

— მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 4 ჯგუფად. — გვითხრა ივანოვმა, — ჯგუფებში გამარჯვებულები შექმნიან ფინალურ ჯგუფს. საბჭოთა კავშირის ჭაბუკები თავის ქვეჯგუფში ხვდებიან იუგოსლავიის, სინგაპურისა და ჩინეთის სპორტსმენებს. ჩვენ ვიბრძოლებთ ქვეჯგუფში მხოლოდ II ადგილის დაკავებისთვის, რადგან ჩინელი ოსტატები ჩვენის აზრით, კონკურენციის გარეშე არიან.

ქვეჯგუფში ჩვენს ქალიშვილებსაც ჩინელებთან ექნებათ საქმე. თუ ისინი ჩინელებთან გაიმარჯვებენ, გზა მედლებისაკენ გაიხსნება, შეიძლება ეს მედლები ოქროსიც კი აღმოჩნდეს.

ა. სრებნიცკი,
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი

ფეხბურთი

დიდი ამოცანის წინაშე

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 31 მარტი.

„დინამო“ (თბილისი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 4:0 (2:0).

„ზენიტი“: ვოსტროილოვი, ალამი, სოვეიკო, პანჩიხინი, დანილოვი, ზავიდონოვი, ვასილიევი, დერგაჩოვი, რიაზანოვი, ხრაპოვიცკი (კრაპკოვი), ბურჩალკინი.

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ხელაძე (დათუნაშვილი), მესხი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

ჩვენი მაყურებელი უშუალო მოწმეა იმისა, თუ რა ტაქტიკური ძვრები განიცადა ფეხბურთმა ბოლო წლებში. ახალმა სისტემებმა, რომელთა შორის დომინანტი, რა თქმა უნდა, ე. წ. ბრაზილიურს ეკუთვნის, წარმოშვა მრავალი ვარიანტი და ტრიბუნებზე მსხდომთ ახლა მართებთ მეტი ყურადღება, მეტი დაკვირვება, რათა სწორად გაერკვნენ იმ სირთულეებში, რომლებიც მინდორზე ხდება დიდ მატჩებში. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება თუნდაც მოთამაშეთა განლაგებას მინდორზე. ძველი ტრადიციული „დუბლვე“ საბოლოოდ მიეცა დავიწყებას და მოთამაშეთა ნუმერაციაც, რომელსაც ასე შევეჩვიეთ ათეული წლების მანძილზე, სიძველეთა მუზეუმის ექსპონატი გახდა. ნომერს ფეხბურთელის მაისურზე ერთობ პირობითი ხასიათი მიეცა.

სწორედ ნომრების ასეთი აღრევა ჰქონდათ ლენინგრადელებს განვლილ მატჩში. საგაზეთო მიმოხილვებში ხშირად შეხვდებით დაუფარავ საყვედურებს იმ გუნდების მიმართ, რომლებიც დაცვითს სისტემას მიმართავენ, მაგრამ ჩვენის აზრით, არ შეიძლება გუნდს ასე ხელაღებით უკიჟინო მის მიერ არჩეული ბრძოლის გზაზე. ფვითეული მწვრთნელი ეძებს თავისი გუნდის რაციონალურ და ლოგიკურ სამოქმედო გეგმას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ამიტომ სწორი იყო „ზენიტის“ გეგმა თბილისელთა წინააღმდეგ მატჩში. ისეთი კლასის ფორვარდებთან ბრძოლაში, როგორიც „დინამოსა“ ჰყავს, ლიმიტირებული დაცვა ვერაფერს გახდება. ამიტომ ლენინგრადელთა დაცვაში საშტატო განრიგი გაზრდილ იქნა ხუთამდე, მაგრამ ჩანაფიქრის სისწორე ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს მისი შესრულების ხარისხსა და ეფექტს.

თბილისელებმა თამაში ჩაატარეს ისე, რომ არც ერთი ბურთი არ გაუშვიათ თავიანთ კარში. ეს საუკეთესო ატესტაციაა გუნდის მცველებისა და მეკარისათვის, რომლებმაც პირნათლად გაართვეს თავი მათს წინაშე დასმულ ამოცანებს, მაგრამ სწორი არ იქნება თუ არ აღვნიშნავთ, რომ ბრძოლის ზოგიერთი დეტალი, განსაკუთრებით ფლანგებზე, არ სრულდება საჭირო სიზუსტით და რაც მთავარია — ყურადღებით. საჯარიმო მოედანზე შემოსული თვითეული ფორვარდი, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ყოველთვის სახიფათოა.

განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ ნახევარმცველ პეტრიაშვილის თამაშზე. შარშან ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ ესაა მზარდი, პერსპექტიული, ნიჭიერი მოთამაშე, გუშინდელი მატჩის მიხედვით კი უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვთქვათ, რომ ესა უკვე სავსებით მომწიფებული, ძლიერი ფეხბურთელი, რომელიც ჩინებულად ხედავს მინდორს, თამაშობს გაბედულად, დარწმუნებულად, თამაშობს როგორც ჩამოყალიბებული ნახევარმცველი, პეტრიაშვილის ყოველი მოქმედება დამაჯერებელია, შორსაა ორჭოფობისაგან და მის მიერ შესანიშნავად გატანილი გოლი არის პირველ ყოვლისა მისი მაღალი ტაქტიკური აზროვნების ნაყოფი.

თავდამსხმელთა შორის პირველი სიტყვა უნდა მიეძღვნას ჩვენი გუნდის ახალ წევრს, ბრწყინვალე ფეხბურთელს ზაურ მეტრეველს. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი ზედმეტი ჟესტი. მეტრეველმა მთელი თავისი მდიდარი არსენალი მიუძღვნა კოლექტივიზმს, მიუძღვნა პარტნიორებსა და გუნდს და არა მაყურებლებს და თბილისელმა მაყურებლებმაც ღირსეულად დააფასეს მეტრეველის ეს შესანიშნავი თვისებები. იგი ტაშის განუწყვეტელ გრიალში თამაშობდა სწორედ იმიტომ, რომ თამაშობდა როგორც დიდი ტაქტიკოსი და ნამდვილი ფეხბურთელი. მის მიერ მეორე ტაიმის მე-7 წუთზე იშვიათი ლაკონიურობით შესრულებული ოპერაცია და გადაცემა, რომლის შედეგადაც იამანიძემ გაიტანა მესამე გოლი, ნამდვილი საფეხბურთო შედევრია!

ძალზე კარგად ითამაშა მესხმა. სასიხარულოა ის, რომ მან გაიფართოვა სამოქმედო დიაპაზონი, მოძრაობს ვრცელ ტერიტორიაზე, ეძებს კონტაქტს პარტნიორებთან და ყოველთვის მზადაა ბრძოლაში ჩასაბმელად. ქების მეტი არაფერი გვეთქმის იამანიძეზეც, რომელიც მთელი თავისი ტალანტითა და მონდომებით, დიდი ოსტატობით თამაშობდა ამ მატჩში. დასანანია მხოლოდ ის, რომ ჩვეულ ფორმაში არ იყო ჩვენი მთავარი „ბომბარდირი“ კალოევი.

განვლილ თამაშში გატანილი გოლების დაწვრილებით აღწერას აღარ შევუდგებით. პირველი ბურთის ავტორი იყო მესხი, მეორე და მესამესი — იამანიძე, ხოლო დასკვნითი გოლისა — პეტრიაშვილი.

დაბოლოს გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც: დინამოელები 31 მარტს თამაშობდნენ დიდი აღმავლობით, მეგობრული სულისკვეთებით და მონდომებით. ეს ძალზე სასიხარულოა, ვინაიდან თბილისის „დინამო“ დიდი ამოცანების წინაშე დგას: მან უნდა იბრძოლოს ისე, რომ თუნდაც ამ საიუბილეო ჩემპიონატში ავიდეს გათამაშების უმაღლეს საფეხურზე.

ს. სიხარულიძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ბ. ქორქია.

* * *

მომენტები განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის. **ქვედა სურათზე** ნაჩვენებია პირველი გოლი ლენინგრადელთა კარში. მ. მესხის მიერ დარტყმული ბურთის აღება ვერ შეძლო მეკარე ვ. ვოსტროილოვმა და გაუშვა იგი. დინამოელთა მარჯვენა გარემარბი ზ. მეტრეველი მზადაა შეტევისათვის.

ზემო სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა თბილისელთა კაპიტანს შ. იამანიძეს გააქვს მეორე გოლი „ზენიტის“ კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

79-ე წუთზე...

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის XXV ჩემპიონატი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ტრიბუნები მაყურებლებით აივსო. ხელსაყრელი ამინდი საუკეთესო პირობებს ქმნიდა თამაშისათვის.

დაიწყო მატჩი და ორივე გუნდის ტაქტიკური ვარიანტი თავიდანვე ნათელი გახდა. ქუთაისელთა გუნდში დაცვის ხაზზე განლაგებული იყო 4 მოთამაშე — სარჯველაძე, თორაძე, ნიშნიანიძე და ცხოვრებოვი. მათ შორის თორაძეს ევალებოდა ემოქმედა გაორმაგებულ ცენტრად ნიშნიანიძესთან ერთად, ამასთან საჭიროების შემთხვევაში დაზღვევაც ეწარმოებინათ სარჯველაძესთან და ცხოვრებოვთან. ახალგაზრდა კუტივაძეს, რომელსაც № 8 მაისური ეცვა, უნდა შეესრულებინა მეორე ნახევარმცველის ფუნქციები და ნახევარმცველთან— მიროშნიკოვთან ერთად წამოეწყო შემტევი კომბინაციები თავდამსხმელთან. ფორვარდებს დავალება მიეცათ ხშირად ეცვალათ ადგილები და დეზორგანიზაცია შეეტანათ სტუმრების დაცვის რიგებში.

განვლილმა შეხვედრამ გამოააშკარავა მასპინძელთა ზოგიერთი ნაკლოვანი მხარე. პირველ ნახევარში გუნდი მიმართავდა ხელოვნური „თამაშგარე მდგომარეობის“ ვარიანტს, მაგრამ მათ ეს ამოცანა დამაკმაყოფილებლად ვერ შეასრულეს. მაგალითად, მე-14 წუთზე მათ ეგონათ ვოლგელთა ცენტრალური თავდამსხმელი კაზაკოვი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მსაჯმა ი. ლუკიანოვმა შენიშნა, რომ ფლანგზე მყოფი ცხოვრებოვი ხაზთან ახლოს იმყოფებოდა და სამართლიანად არ გააჩერა თამაში. ამ სიტუაციაში კაზაკოვისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ბურთის გატანა — 1:0.

მეორე ნახევარში თამაში კარგა ხანს სტუმრების ნახევარზე მიმდინარეობდა. „კრ. სოვეტოვმა“ დაცვის გაძლიერების მიზნით უკან დაწია სოლოვიოვი და ფედოროვი. ვოლგელებს განსაკუთრებით უჭირდათ თამაში მოწინააღმდეგეთა გარემარბებთან. როგორც სირაძე, ისე ბულია, სისტემატურად იმარჯვებდნენ ფლანგებზე და ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

მე-14 წუთზე ბულია დაეუფლა მეკარის მიერ დარტყმულ ბურთს, მოატყუა მაიოროვი და სწრაფად გადააწოდა მიროშნიკოვს. ამ უკანასკნელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. მასპინძელთა იერიშები სულ უფრო მძლავრდებოდა და 23-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ხაჲალიამ, რომელმაც მეორე ნახევარში შეცვალა ხერხაძე, მიიღო სირაძისაგან ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი კარში.

✦ ✦

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 31 მარტი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 1:1 (0:1).

„ტორპედო“ — ურუშაძე, სარჯველაძე, თორაძე, ცხოვრებოვი, მიროშნიკოვი, ნიშნიანიძე, ჩხარტიშვილი, კუტივაძე, სირაძე, ხერხაძე (ხაჲალია), ბულია.

„კრ. სოვეტოვი“ — კარასევი, მაიოროვი, სარიჩევი, ჩაშინი, კაპსინი, შეხოვცევი, ოსიანინი, სოლოვიოვი, კაზაკოვი, სადოვნიკოვი (ფედოროვი), კიკინი.

მსაჯი—ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

✦ ✦

34-ე წუთზე ბულიას მორიგი გარღვევა დამთავრდა იმით, რომ საჯარიმო მოედანზე იგი ხელით დაიჭირეს მცველებმა. მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ეს იყო გადამწყვეტი ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ ხაჲალიამ ვერ გამოიყენა იგი. ქუთაისელებმა ხელიდან გაუშვეს მოგება — 1:1.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 2:0.

ლ. ფაჩუაშვილი

* * *

ქუთაისის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრაში დაწესებული იყო პრიზი საუკეთესო თავდამსხმელისათვის. ეს პრიზი მიიღო ქუთაისელთა ფორვარდმა ვ. ჩხარტიშვილმა.

სურათზე: ვ. ჩხარტიშვილი რთული მდგომარეობიდან ურტყამს მოწინააღმდეგის კარში.

იუნიორთა ტურნირი კალათბურთში

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით მოეწყობა იუნიორთა ევროპისეული ტურნირი. მასში მონაწილეობის სურვილი 24-მა ქვეყანამ განაცხადა. წინასწარი თამაშებისაგან თავისუფალია საბჭოთა კავშირი (ქვეყანა, რომლის ვაჟთა გუნდი ატარებს ევროპის ჩემპიონის სახელს), ჩეხოსლოვაკია (იუნიორთა გასული ტურნირის ჩემპიონი) და იტალია (როგორც ტურნირის ინიციატორი ქვეყანა).

დანარჩენი ქვეყნები დაყოფილნი არიან 4 ქვეჯგუფად. პირველში გამოდიან — ბულგარეთი, ალბანეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი, თურქეთი, რუმინეთი (ტურნირი მოეწყობა ბულგარეთში), მეორე ჯგუფში — საფრანგეთი, ისლანდია, შვეცია, ისრაელი, ლუქსემბურგი (ტურნირი გაიმართება საფრანგეთში), მესამე ჯგუფში — პოლონეთი, ავსტრია, ჰოლანდია, ფინეთი, გდრ (ჩატარდება პოლონეთში), მეოთხე ჯგუფში — ესპანეთი, ბელგია, პორტუგალია, შვეიცარია, უნგრეთი (ტურნირი მოეწყობა ესპანეთში).

პირველი ქვეჯგუფიდან ფინალში გადის ორი გუნდი, დანარჩენებიდან — თითო-თითო. ამრიგად, ფინალში გამოვა 8 გუნდი. წინასწარი თამაშები უნდა დამთავრდეს 1963 წელს. ფინალი ჩატარდება 1964 წლის აპრილს იტალიაში. სესიამ დაადგინა, რომ ჩემპიონატში დაიშვებიან 1945 წელს და უფრო მოგვიანებით დაბადებულნი.

„დინამოს" საქალაქო საბჭოსთან ნაყოფიერად მუშაობს თანამედროვე ხუთჭიდის სექცია.
სურათზე: მწვრთნელები, სპორტის ოსტატი ს. როგავა (მარცხნივ) და გ. გამზარდია ნორჩ ხუთჭიდელებთან საუბრობენ.
ფოტო ი. იუნაევისა.

СОВРЕМЕННОЕ
ПЯТИБОРЬЕ
СОВРЕ
1937

6 აპრილს პარიზში

ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის V გათამაშებამ ვაჟთა გუნდებს შორის დასკვნით ეტაპს მიაღწია. ამ ასპარეზობაში თავიდან 22 ქვეყნის გუნდი ჩაება, მათ შორის თბილისის „ბურევესტნიკიც". თბილისელები თავის პირველსავე მატჩში (მერვედფინალში) გამოეთიშნენ თასისათვის ბრძოლას. ამის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია მრავალ გუნდს.

ნახევარფინალში პრაღის „დუკლამ" (I გათამაშების თასის მფლობელმა) ორივე მატჩში დაამარცხა (9:7, 24:14) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი „გეპინგენი" (გფრ), ხოლო მეორე ფინალისტმა — ბუქარესტის „დინამომ" ნახევარფინალში ორჯერ სძლია დანიელთა ჩემპიონს „ორჰუსს" (14:12, 14:10).

ამგვარად, ფრანგული პოპულარული სპორტული გაზეთის „ეკიპის" თასის მოპოვებისათვის დასკვნითი შეხვედრა შედგება „დუკლასა" და „დინამოს" შორის. ეს მატჩი გაიმართება 6 აპრილს პარიზში.

საზღვარგარეთული ამბები

ლუდი და ფეხბურთი

დასავლეთგერმანულმა საფეხბურთო კლუბმა „შალკე 04" გადაწყვიტა ერთგვარად გამოესწორებია თავისი ფინანსური საქმეები. ამ მიზნით მან ხელშეკრულება დასდო დორტმუნდის ლუდის ქარხანასთან. ქარხანამ გამოუშვა ათი ათასი ლუდის ტოლჩა „შალკე 04"-ის მოთამაშეთა ავტოგრაფებით. კლუბის ადმინისტრაცია თვლის, რომ იგი ქარხნის მეპატრონეებთან ერთად აკეთებს ბიზნესს: „ისიამოვნებენ რა ახალი ტოლჩიდან ლუდის დალევით, ფეხბურთის მოყვარულები უფრო შეეჩვევიან ლუდს, ხოლო ლუდის მოყვარულები ფეხბურთს".

ალფ რენლეინის „რეცეპტი"

თავისი მოთამაშეების წარმატებათა სტიმულირების ახალი საშუალება გამოიგონა ცნობილი კლუბის „ოდენზეს" მწვრთნელმა დანიელმა ალფ რენლეინმა. როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „დი ველტი" იუწყება, ყოველი საპასუხისმგებლო თამაშის წინ მწვრთნელი მიემგზავრება თავისი ფეხბურთელების მეუღლეებთან და საცოლეებთან და გადასცემს მათ ყვავილების თაიგულებს. რენლეინის აზრით ეს მეთოდი „ეხმარება ფეხბურთელებს შეინარჩუნონ სულიერი სიმშვიდე". ჯერჯერობით მწვრთნელის „რეცეპტი" ეხმარება გუნდს — მიმდინარე სეზონში მას არცერთი შეხვედრა არ წაუგია.

ახალგაზრდა მხატვართა კუთხე



ფეხბურთის ბილეთის უმტკივნეულოდ შოვნის საშუალება.
ნახ. ა. ხუტარენკოსი.

ევროპის თასზე

31 მარტს შედგა პირველი წრის მატჩები ევროპის თასზე ფეხბურთში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ ტურნირის პირველი მატჩი გერმანელმა ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე მოიგეს ანგარიშით 2:1. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს — ჩეხებს შესაძლებლობა ჰქონდათ პირველი მატჩის წარუმატებლობა აენაზღაურებიათ თავიანთ სტადიონზე, მაგრამ გერმანელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს და მიაღწიეს ფრეს — 1:1.ამრიგად, ევროპის თასის გათამაშებას გამოაკლდა ჩეხოსლოვაკია, ხოლო გერმანელმა ფეხბურთელებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ ტურნირის შემდგომ მსვლელობაში.

იგივე უფლება მოიპოვეს ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმაც. მათ პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 3:1. მეორე შეხვედრა ამ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 1:1 და შვედები გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

ბელგიისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრაში გამარჯვება დარჩათ იუგოსლაველებს — 1:0. ვინაიდან მათ გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული პირველ მატჩშიც (2:1). ისინი გავიდნენ ევროპის თასის მერვედფინალში.

იოჰანსონი გამოდის რინგზე

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალთა შორის ინგემარ იოჰანსონი კარგა ხნის დუმილის შემდეგ კვლავ აპირებს მოაგონოს თავის შესახებ სპორტულ სამყაროს. იგი 21 აპრილს ევროპის ჩემპიონის წოდებას იცავს სტოკჰოლმში ინგლისელ ბ. რაიან ლონდონის წინააღმდეგ. ამასთან იოჰანსონს განზრახული აქვს კვლავ განაცხადოს პრეტენზიები მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე და ინტერესით ელის ლისტონ-პატერსონის მომავალ ორთაბრძოლას. საყურადღებოა, რომ თვით ლისტონმაც ამას წინათ საკუთარი აზრი გამოთქვა იოჰანსონის ოსტატობაზე და რამდენადმე მოულოდნელად დააყენა იგი პატერსონზე მაღლა.

მაგრამ, როგორც ეტყობა, იოჰანსონი ამჟამად ჯერ კიდევ არ არის კარგ ფორმაში. ევროპის ჩემპიონის წოდების დაცვის სამზადისში იოჰანსონმა ე. წ. „სპარინგ-პარტნიორად" მოიწვია არგენტინელი მოკრივე რუდოლფ დიასი, რომელიც არ შედის ამ წონის უძლიერეს მოკრივეთა ათეულში. „სპარინგ-პარტნიორის" მოვალეობაა ხელი შეუწყოს მოკრივეს მატჩისადმი მზადებაში.

რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატები

ამას წინათ გორში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება სამბოში, რომელიც ამავე დროს შერჩევით ტურნირს წარმოადგენდა საკავშირო ჩემპიონატის წინ (იგი დაიწყება 10 აპრილს გროზნოში).

შეჯიბრებაში აღიარებულ ფავორიტს, თბილისის გუნდს, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გორის, ბათუმის, ქუთაისის და თელავის წარმომადგენლებმა. ეს მოწმობს იმას, რომ პერიფერიებში ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები — ლ. კაციაშვილი, გ. პაპიტაშვილი, დ. ჩაჩანიძე და სხვ.

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილები დაიკავეს: უმჩატეს წონაში — 1. რ. ქუცნიაშვილმა, 2. კაჩმაზოვმა, 3. ი. იმერლიშვილმა.

მჩატე წონაში — 1. რ. ლომსაძემ, 2. ბ. მაისურაძემ, 3. ბ. კელიშვილმა.

ქვემსუბუქ წონაში — 1. ქაცანაშვილმა, 2. ვ. ნახუცრიშვილმა, 3. გ. ჯანიაშვილმა.

მსუბუქ წონაში — 1. ვ. ქევხიშვილმა, 2. ი. პეტრიაშვილმა, 3. ბატაძემ.

ქვესაშუალო წონაში — 1. ვ. მარიამულმა, 2. ი. გუშარაშვილმა, 3. ხინჩიკაშვილმა.

საშუალო წონაში — 1. კახაბრიშვილმა, 2. ბალაკაშვილმა, 3. გულიშვილმა.

ქვემძიმე წონაში — 1. ა. ზურაბაულმა, 2. გ. სულაშვილმა, 3. გ. კოპაძემ.

მძიმე წონაში — 1. თ. ჩიკვილაძემ, 2. გ. ხაჩიძემ, 3. ნ. ყაჩმაზაშვილმა.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში.

ბ. მაზიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

რედაქტორი **ი. უგულავა.**

3 აპრილს, ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის შენობაში შედგება საქართველოს ალპინისტური ფედერაციის IV პლენუმი.

დღის წესრიგში: ფედერაციის პრეზიდიუმის ანგარიში (1962-1963 წ. წ.) და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა.

დასაწყისი 12 საათზე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 3-35-09, გამომცემლის — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01003